ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 120

"19" აპრილი 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტისა და მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს რუსტამ ისაევის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - რუსტამ ისაევის სახელობის ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე